საზოგადოებრივი გეოგრაფია

ა) პროგრამის სახელწოდება: საზოგადოებრივი გეოგრაფია
Human Geography

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში- BA of Social Sciences in Human Geography.

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 240 კრედიტი

დ) სწავლების ენა – ქართული;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი (რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე)

1. **პროგრამი სმიზანი**

საზოგადოებრივი გეოგრაფიის პროგრამის მიზანია ახალგაზრდა თაობის მომზადება რომელიც დაინტერესებულია მიიღოს ცოდნა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების სივრცე–დროით ასპექტების შესახებ და შეიძინოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც ჩვენს კურსდამთავრებულებს ხელს შეუწყობს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო/საზოგადოებრივი/ბიზნესორგანიზაციების მართვაში და მათი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებაში.

2. **პროგრამის აღწერა**

მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად საზოგადოებრივი გეოგრაფები შეიძლება დასაქმდნენ როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამეცნიერო ორგანიზაციებში, სხვადასხვა დონის (ცენტრალური, ადგილობრივი) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, არასამთავრობო და კერძო სექტორებში, და ა.შ.

უფრო კონკრეტულად გეოგრაფები შეიძლება დასაქმდნენ საქალაქო და ბუნებრივი გარემოს დაგეგმვისა და მართვის სამსახურებში, მიწის მართვის სისტემაში, ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ორგანოებსა და კომპანიებში, სატრანსპორტო ორგანიზაციებში, საკონსულტაციო კომპანიებში, საბანკო და საფინანსო დაწესებულებებში/ფირმებში, მას მედიაში, სასტუმრო და ტურიზმის ბიზნესში, საგარეო ურთიერთობათა სისტემაში, შრომის ბაზართან და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სფეროებში, ასევე ყველა იმ სამსახურში, სადაც საჭიროა გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები, კარტოგრაფიული ვიზუალიზაცია და სხვა.

საზოგადოებრივი გეოგრაფია წარმოადგენს გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემის ნაწილს, რომელიც შეისწავლის დედამიწაზე არსებული ანთროპოგენული (ადამიანის მიერ შექმნილი) ობიექტებისა და სისტემების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სივრცით–დროით

ასპექტებს. მისი შესწავლის ზოგად ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი საზოგადოებრივი მოვლენა, პროცესი და სისტემა რომელსაც გააჩნია (ან შეიძლება პოტენციურად გააჩნდეს) სივრცითი სტრუქტურა.

საზოგადოებრივი გეოგრაფია მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, კერძოდ კი ყველა სამეცნიერო დისციპლინასთან, რომლებიც შეისწავლის დედამიწაზე არსებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ორგანიზაციისა და განვითარების ასპექტებს.

ტრადიციულად საზოგადოებრივ გეოგრაფიას მიეკუთვნება:

- ეკონომიკური გეოგრაფია,
- სოციალური გეოგრაფია,
- მოსახლეობის გეოგრაფია,
- ქალაქების გეოგრაფია,
- კულტურის გეოგრაფია,
- განვითარების გეოგრაფია,
- მეურნეობის გეოგრაფია,
- პოლიტიკური გეოგრაფია

გარდა ამისა, ცალკე გამოიყოფა *თეორიული გეოგრაფია*, აგრეთვე *ქვეყანათმცოდნეობა*, როგორც საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი გეოგრაფიის გამაერთიანებელი დისციპლინადა *კარტოგრაფია* (გეოდეზიისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების ჩათვლით), რომელიც უზრუნველყოფს ყველა გეოგრაფიული დისციპლინის ფუნქციონირებას.

საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და სხვა სამეცნიერო დისციპლინების კონტაქტის არეში არსებობსმრავალიე.წ. მომიჯნავედისციპლინა (cross-disciplines), როგორიცააგეოეკოლოგია, გეოეკონომიკა, ისტორიული გეოგრაფია, დემოგრაფია, ეთნოგრაფია, რეგიონული ეკონომიკა და ა.შ.

საზოგადოებრივი გეოგრაფის, ისევე როგორც ზოგადად გეოგრაფის კვალიფიკაცია გამორჩევა იმით, რომ მისთვის დამახასიათებელია დედამიწაზე მიმდინარე პროცესების სივრცე-დროით ხედვას, რაც მხოლოდ გეოგრაფიისათვის არის დამახასიათებელი და არატრანსფერებადია.

საზოგადოებრივი გეოგრაფია უშუალოდაა დაკავშირებული იმ მუდმივ, სწრაფ, ინტენსიურ ცვლილებებთან, რომელსაც ადგილი აქვს საზოგადოებრივ სისტემებში ადგილობრივ, რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე; მ.შ. საზოგადოების ორგანიზაციისა და მართვის მოდელების დივერსიფიკაციათან, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან, ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციასთან, მზარდ კულტურული მრავალფეროვნებასთან, გლობალურ ჰავის ცვლილებასთან და ბუნებრივი გარემოს კრიზისთან. შესაბამისად საზოგადოებრივი გეოგრაფიის განათლების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს *საზოგადოებრივი სისტემების ორგანიზაციას და ფუნქციონირების სივრცე–დროითი ასპექტებისა და შესაბამისი სწრაფცვალებადი გარემოს შესწავლა.*

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საზოგადოებრივი გეოგრაფიის პროგრამა (როგორც მაგისტრატურის, ასევე ბაკალავრიატის და დოქტორანტურის დონეზე) წარმოდგენილია მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

წინამდებარე დოკუმენტი შეეხება პირველი საფეხურის კვალიფიკაციას, რომელიც იძლევა ზოგად ცოდნას გეოგრაფიაში საზოგადოების ფუნქციონირების სივრცე–დროითი ასპექტების შესახებ, რაც სტუდენტის ფართო კომპეტენციით მომზადებას გულისხმობს.

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებისა (მათ შორის ერთიანი ეროვნული გამოცდები), საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩაბარებას განსაკუთრებული წინაპირობები არ გააჩნია.

ზ) სწავლის შედეგი;

ცოდნა და გაცნობიერება	ფლობს ფართო ცოდნას დედამიწის საზოგადოებრივი და ბუნებრივი სისტემების შესახებ. კრიტიკულად აღიქვამს ამ სისტემების განვითარების ძირითად თავისებურებებს, მათ ფარგლებში მიმდინარე პროცესებს, მათი ისტორიასა და მატერიალურ საფუძველს. ესმის დედამიწაზე მიმდინარე პროცესები და მათ კრიტიკულად იაზრებს დრო-სივრცით კონტექსტში. აცნობიერებს გლობალურ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური და/ან ფიზიკურ–გეოგრაფიული/ბუნებრივი კომპლექსური პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს. აცნობიერებს ურთიერთდამოკიდებულება სბუნებრივ და სოციალურ გარემოს შორის. ხელეწიფება მათი კრიტიკული გააზრება დაშედეგების შემოწმება. კრიტიკული გააზრების საფუძველზე განმარტავს რეგიონების, ადგილებისა და მოვლენების მრავალფეროვნებასა და ურთიერთდამოკიდებულებას. აცნობიერებს სხვადასხვა დონის კომპლექსურ სივრცობრივ კავშირებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები	დამოუკიდებლად მოიძიებს ზოგადი გეოგრაფიული მეცნიერებების მასალას (მათ შორის ინტერნეტის საშუალებით და საველე პირობებში), აგროვებს, განაზოგადებს, აანალიზებს, აფასებს, ახდენს მის დოკუმენტირებას და შედეგების მოხსენებას. დამოუკიდებლად აკეთებს დასკვნებს საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების და მოვლენების შესახებ.

	განსაზღვრავს გეოგრაფიული მეცნიერებების გამოყენების შესაძლებლობებს, მათ როლს საზოგადოებაში. იყენებს სტატისტიკურ, კარტოგრაფიულ და გის-ის მეთოდებს საზოგადოებრივი სისტემების განხილვისას. ხელეწიფება ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარი ქართულ და უცხოურ ენებზე, პრეზენტაციის მომზადების და ჩატარების ჩათვლით. შეუძლია კარტოგრაფიული მასალის წაკითხვა და ინტერპრეტაცია. იყენებს სხვა დისციპლინების მრავალფეროვანი მიდგომების ცოდნას და მათ გამოიყენებს საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ კონტექსტში. პრაქტიკაში იყენებს გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების მეთოდებს და მიდგომებს. სწორედ იყენებს გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას.
ღირებულებები	კურსდამთავრებულები შემდგომ შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში დაამკვიდრებენ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ტოლერანტობა, პასუხისმგებლობა, სამართლიანობა, შრომისმოყვარეობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა.
დასკვნის უნარი	შეუძლია ზოგადი პრობლემის იდენტიფიცირება, საკითხისდასმა და დასაბუთებული დასკვნის საფუძველზე მათი გადაწყვეტა. შეუძლია სოციალური და გეოგრაფიული პროცესების შესახებ ზოგადი დასკვნების გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება.
სწავლის უნარი	შეუძლია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. შეუძლია სწავლის და ცოდნის მუდმივი განახლება. დარგის ცოდნა და პროფესიის გათავისება. შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა. შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღება, დამუშავება, ანალიზი და მონაცემების ინტერპრეტაცია.

	შეუძლია დაკისრებული ამოცანებისა და ვალდებულებების პასუხისმგებლობით შესრულება.
კომუნიკაციის უნარი	იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება შეუძლია მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია. ფლობს ინგლისურ ენას B2 დონეზე – წარმოადგენს დამოუკიდებელ მოსაუბრეს გეოგრაფიის სფეროში. შეუძლია დროის დაგეგმვა და მართვა დასახული მიზნის მისაღწევად. შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში მზად არის, როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშაობისთვის. იცნობს და იყენებს თანამედროვე ზოგად საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;

ვერბალური, ახსნა-განმარტებითი მეთოდი,
ვერბალური, ახსნა-განმარტებითი მეთოდი,
ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის მეთოდი,
საველე კვლევისა და დაკვირვების მეთოდი,
შედარებითი ანალიზის მეთოდი,
მონაცემთა ვიზუალიზაციისა და კარტოგრაფიული მეთოდი,
სტატისტიკური ანალიზის მეთოდი,
გუნდური მუშაობა და დისკუსია,
გეოინფორმაციული (გის) და დისტანციური ზონდირების მეთოდი.

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

გამოიყენება შეფასების 100 ქულიანი კომბინირებული სისტემა.

(A) 91 -100 ფრიადი
(B) 81 -90 ძალიანკარგი
(C) 71 -80 კარგი
(D) 61 -70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51 - 60 საკმარისი

(FX) 41 - 50 ვერჩააბარა, სტუდენტსეძლევასაბოლოოგამოცდისერთხელგადაბარებისუფლება

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმაკრედიტისმიღებისთვისთავიდანუნდაგაიაროსკურსი

კ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ტრადიციულ ლექციებთან ერთად გამოყენებულია პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარები, პროექტები, ჯგუფური მუშაობა და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია უნდა განხორციელდეს როგორც შესაბამის ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლით, ასევე საველე სამუშაოს პირობებში. ბაკალავრიატის დონეზე პრაქტიკისა და საველე სამუშაოს მოცულობა არ შეადგენს სტუდენტის საერთო აკადემიური დატვირთვის 1/10–ზე ნაკლებს.

სტუდენტის მიერ კომპეტენციების დაუფლების შეფასების მიზნით მიზანშეწონილია ისეთი კრიტერიუმების გამოყენება, რომლებიც სრულად და მკაფიოდ ასახავენ, შეუძლია თუ არა მას პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა, სამუშაოს წანამძღვრებისა და პირობების ფორმულირება, საკვლევი საკითხის დასმა, ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება, გადაცემა, არგუმენტირება/დაცვა, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება. შეფასება უნდა იყოს როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე ფორმატიულიც.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი და ითვალისწინებს 240 ECTS კრედიტის დაგროვებას.

კრედიტების განაწილების პრინციპი:

120 კრედიტი – ძირითადი სპეციალობა: ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები 60 კრედიტი (მათ შორის 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი) და ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები 60 კრედიტი (ECTS)

60 კრედიტი – დამატებითი სპეციალობა (Minor) ან სხვა სასწავლო კომპონენტები საუნივერსიტეტო კურიკულუმიდან

45 კრედიტი – საფაკულტეტო სასწავლო კურსები, მათ შორის: საფაკულტეტო სავალდებულო კურსები 25 კრედიტი, საფაკულტეტო არჩევითი კურსები – 5 კრედიტი, საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები – 15 კრედიტი

15 კრედიტი – თავისუფალი კრედიტები.

დეტალური ინფორმაცია იხ. დანართი (სასწავლო გეგმა).

ლ) პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი იოსებ სალუქვაძე და პროფესორი გიორგი გოგსაძე;

მ) დასაქმების სფეროები: შეიძლება დასაქმდნენ საქალაქო და ბუნებრივი გარემოს დაგეგმვისა და მართვის სამსახურებში, მიწის მართვის სისტემაში, ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ორგანოებსა და კომპანიებში, სატრანსპორტო ორგანიზაციებში, საკონსულტაციო კომპანიებში, საბანკო და საფინანსო დაწესებულებებში/ფირმებში, მასმედიაში, სასტუმრო და ტურიზმის ბიზნესში, საგარეო ურთიერთობათა სისტემაში, შრომის ბაზართან და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სფეროებში

ნ) დამატებითი ინფორმაცია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება სხვა მიმართულებების სტუდენტებს სთავაზობს დამატებით (Minor) პროგრამას, რომელიც მოიცავს 15 სასწავლო კურსს, ჯამში 95 კრედიტი. საზოგადოებრივი გეოგრაფიაში დამატებითი პროგრამის შესასრულებლად სტუდენტმა უნდა შეასრულოს 60 კრედიტი, მათ შორის 40 კრედიტი სავალდებულო კურსების, ხოლო დანარჩენი 20 კრედიტი არჩევითი კურსების ხარჯზე.

ამ მიზნის განხორციელებაში ჩაბმული არიან, როგორც დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული სპეციალისტები. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ნაწილი გარკვეული დროის განმავლობაში სტაჟირებაზე იმყოფებოდა დასავლეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში. ეს საშუალებას აძლევს ჩვენს სტუდენტებს „პირველი ხელიდან“ მიიღონ ინფორმაცია მოწინავე უცხოური გამოცდილების შესახებ.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტზე საბაკალავრო დონეზე სწავლება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამაში ჩართულია კურსები, რომლებიც ორიენტირებულია, როგორც ზოგადი ცოდნის მიღებაზე, ასევე სპეციფიური პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე (მაგ. კარტოგრაფია, გეოინფორმაციული სისტემები, ინგლისური ენა). კურიკულუმის ნაწილია ორი სასწავლო-საველე პრაქტიკა, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ადგილზე გაეცნონ ეკონომიკური და რეკრეაციული ობიექტების მუშაობას, რომლის შესახებ გააჩნიათ თეორიული ცოდნა.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

უნივერსიტეტი/ინსტიტუტი/**დეპარტამენტი**/კათედრა/მიმართულება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: საზოგადოებრივი გეოგრაფია

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი იოსებ სალუქვაძე; პროფესორი გიორგი გოგსაძე

სასწავლო პროგრამის კოორდინატორი: გიორგი გოგსაძე

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №57/ 2011, დანართი 40

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): დადგენილება №16/2012-1 მარტი, 2012; დადგენილება №30/2013 -18 თებერვალი, 2013; დადგენილება № 17/2014-19 თებერვალი, 2014; დადგენილება №81/2014-4 სექტემბერი, 2014; დადგენილება №22/2015 - 9 თებერვალი, 2015; დადგენილება №68/2015 - 6 ივლისი, 2015; დადგენილება № 137/2015 - 28 დეკემბერი 2015; დადგენილება № 22/2016 - 19 თებერვალი, 2016; დადგენილება № 23/2016 - 29 თებერვალი, 2016; დადგენილება № 9/2017 - 23 იანვარი, 2017; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017; დადგენილება №90/2017 - 25 ივლისი, 2017; დადგენილება №91/2018 - 19 მარტი, 2018; დადგენილება №199/2018 - 13 სექტემბერი, 2018; დადგენილება №76/2020 - 30 ივლისი, 2020

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2012-2013

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები/მოდულები										
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები/მოდულები - 25 კრედიტი (ECTS)										
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი	შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩაბარება			შემოდგომა	გაზაფხული	
1	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	5	15	15	5	90	არჩევა მე-2 სემესტრიდან	✓	✓	ნინო დურგლიშვილი თეონა მატარაძე ნათელა დონაძე მარინა ბურძენიძე შორენა თურქიაშვილი თამარ ქარაია დავით სიჭინავა მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი
2	ინგლისური ენა 1 (A 1.1; A 2.1; B 1.1; B 2.1;)	5	30	30	5	60	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის პედაგოგი
3	სტატისტიკა	5	30	30	5	60	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ომარ ფურთუხია პეტრე ბაბილუა მზევინარ ფაცაცია სიმონ ელოშვილი ნორა კეკელია ალექსანდრე ტყეშელაშვილი მიმოზა ტყებუჩავა ქეთევან მანჯგალაძე

4	აკადემიური წერა	5	15	15	0	95	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თამარ ვეფხვაძე ნათია სვანიძე ლელა წიქარიშვილი თინათინ მაჭარაშვილი მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი მარიამ კვერღელაძე
5	ინგლისური ენა 2 (A 1.2; A 2.2; B 1.2; B 2.2)	5	30	30	5	60	ინგლისური ენა 1		✓	ენების ცენტრის პედაგოგი
საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები/მოდულები - მინიმუმ 10[1] კრედიტი (ECTS)										
1	ანთროპოლოგია	5	30	0	4	91	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თეონა მატარაძე
2	გამოყენებითი ეკონომიკა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ჯამლეტ ჯანჯღავა
3	კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	გუგული მაღრაძე ლაშა ტუღუში
4	ლოგიკა	5	30	0	5	90	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნინო თომაშვილი
5	ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია	5	30	0	4	91	წინაპირობის გარეშე	✓		ზურაბ დავითაშვილი კოსტანტინე შუბითიძე
6	მეტყველების კულტურა (არაჟურნალისტებისთვის)	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		✓	იური ფოფხაძე ნინო გელოვანი
7	ფილოსოფიის საფუძვლები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ვალერიან რამიშვილი
საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები (15 კრედტი) (სტუდენტებს ევალებათ 3 საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსის გავლა)										
1	სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ზურაბ ტატანაშვილი გიორგი წოწკოლაური მაგული შაღაშვილი
2	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სალომე დუნდუა მალხაზ მაცაბერიძე გია ჟორჟოლიანი ზვიად აბაშიძე კორნელი კაკაჩია ელენე გელაშვილი ლადო ნაფეტვარიძე
3	სოციოლოგიის შესავალი	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ამირან ბერძენიშვილი იაგო კაჭკაჭიშვილი ნათელა დონაძე კახა ქეცბაია

[1] **ამოქმედდეს 2020-2021 წლის გაზაფხულიდან მე-6 სემესტრსა და მის ქვემოთ მყოფი სტუდენტებისთვის** (მე-8 და მე-7 სემესტრის სტუდენტებისთვის, რომელთაც უკვე გავლილი აქვთ საფაკულტეტო ერთი 5 კრედიტიანი საგანი, 10 კრედიტის გავლა სავალდებულო არ არის)

										შორენა თურქიაშვილი ნინო ამონაშვილი
4	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	30	15	6	74	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თორნიკე თურმანიძე ზურაბ დავითაშვილი ფიქრია ასანიშვილი კოსტანტინე შუბითიძე
5	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი ხათუნა კაჭარავა
ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები 80 კრედიტი (ECTS)										
1	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	30	15	4	76	წინაპირობის გარეშე	X	X	ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია; ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე
2	შესავალი გეოინფორმაციულ სისტემებში	5	30	30	4	61	წინაპირობის გარეშე	X	X	ასისტენტ პროფესორი ვლადიმერ ჩხაიძე
3	ეკონომიკური და სოციალური კარტოგრაფია	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე		X	მოწვეული პედაგოგი დალი ნიკოლაიშვილი
4	ინგლისური ენა 3	5	30	30	5	60	ინგლისური ენა 1 და ინგლისური ენა 2	X		ენის ცენტრის პედაგოგები მარინე ქევხიშვილი; თამარ იაშვილი
5	ინგლისური ენა 4	5	30	30	5	60	ინგლისური ენა 3		X	ენის ცენტრის პედაგოგები მარინე ქევხიშვილი; თამარ იაშვილი
6	ინგლისური ენა 5	5	30	30	5	60	ინგლისური ენა 4	X		ენის ცენტრის პედაგოგები მარინე ქევხიშვილი; თამარ იაშვილი
7	ინგლისური ენა 6	5	30	30	5	60	ინგლისური ენა 5		X	ენის ცენტრის პედაგოგები მარინე ქევხიშვილი; თამარ იაშვილი
8	ზოგადგეოგრაფიული საველე-საწარმოო პრაქტიკა	5	15	60	5	45	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი		X	ასისტენტ პროფესორი ბაადურ წერეთელი ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი
9	ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	X	X	ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია
10	საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	5	30	30	4	61	წინაპირობის გარეშე	X	X	ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი
11	მსოფლიოს ქალაქები:	5	30	15	4	76	წინაპირობის გარეშე	X		პროფესორი

	გეოურბანისტიკის საფუძვლები									იოსებ სალუქვაძე
12	სივრცე და პოლიტიკა	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე		X	პროფესორი გიორგი გოგსაძე
13	მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია 1	5	30	30	5	60	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	X		ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე; მოწვეული პედაგოგი ლუიზა აბაზაძე
14	მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია 2	5	30	30	5	60	მსოფლიოს რეგიონების და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია 1		X	ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია
15	საბაკალავრო ნაშრომი	10				250		X	X	
ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები 40 კრედიტი (ECTS)										
16	საზოგადოებრივი გეოგრაფია და სოციალური თეორიები (კლასიკური და თანამედროვე მიდგომები)	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	X		ასოცირებული პროფესორი ამირან ბერძენიშვილი
17	საქართველოს ტურიზმის გეოგრაფია	5	15	30	2	78	წინაპირობის გარეშე	X	X	ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი
18	მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია	5	15	30	2	78	წინაპირობის გარეშე	X	X	ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი
19	მოსახლეობის გეოგრაფია	5	30	30	5	60	წინაპირობის გარეშე	X	X	პროფესორი გიორგი გოგსაძე (I სემ.), ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე(II სემ.)
20	ეკონომიკური გეოგრაფიის საფუძვლები და მსოფლიო მეურნეობის გეოგრაფია	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე		X	ასოცირებული პროფესორი მარინე ბოკერია
21	კულტურის გეოგრაფია	5	30	15	4	76	წინაპირობის გარეშე	X	X	ასისტენტ პროფესორი ბაადურ წერეთელი
22	ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია (საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამიდან)	5	30	30	5	60	წინაპირობის გარეშე	X	x	პროფესორი ზურაბ დავითაშვილი
23	რეგიონის კომპლექსურ-გეოგრაფიული კვლევა (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა)	5	15	60	5	45	ზოგადგეოგრაფიული საველე-საწარმოო პრაქტიკა		X (ივლ ისი)	ასოცირებული პროფესორი მარინე ბოკერია; პროფესორი გიორგი გოგსაძე
24	ახლო აღმოსავლეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	X		პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე

										მოწვეული პედაგოგი ლევან ასათიანი
25	პოსტსაბჭოთა სივრცის გეოგრაფია	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	X		ასოცირებული პროფესორი მარინე ბოკერია
26	გეოეკონომიკის საფუძვლები	5	30	15	4	76	წინაპირობის გარეშე		X	ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე
27	მიგრაციის კვლევები (ინგლისურენოვანი ინტენსიური კურსი)	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		X	მოწვეული პედაგოგი ატილა მელეგი
28	დემოგრაფიის საფუძვლები	5	30	15	4	76	წინაპირობის გარეშე	X		პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე
29	სამხრეთ კავკასია: სივრცე, საზოგადოება, განვითარება (ინგლისურენოვანი კურსი)	5	15	15	4	91	ინგლისური ენა 1-2		X	პროფესორი იოსებ სალუქვაძე
30	დიპლომატიის ისტორია და პრაქტიკა	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე		X	ასოცირებული პროფესორი ზურაბ აბაშიძე
31	საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე		X	პროფესორი გიორგი მელაძე
32	ენების და რელიგიების გეოგრაფია *(ინგლისურენოვანი ინტენსიური კურსი)*	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	X		მოწვეული პედაგოგი სტენლი ბრიუნი
33	საქართველო მსოფლიო კონტექსტში: ისტორიულ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მიდგომა	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე		X	პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე
თავისუფალი კრედიტები - 10 კრედიტი (ECTS)										

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა:

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა:

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა:

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა:

თარიღი ----------

ფაკულტეტის ბეჭედი